



საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური გართვის ორგანიზაცია



ნოემბრი ანბარიში 2016

02 ზოგადი მიმოხილვა

03 ინფორმაციის სისტემატიზაცია

05 ლიცენზირება

07 ჰონორარის შეგროვება-მანუილება

12 საჭაროობა-გამჭვირვალობა

13 სამომადლოებრივი ცნობიერება

14 დარღვევათა პროფილაქტიკა

16 საერთაშორისო თანამშრომლობა

18 შეჯამება

19 შედარებითი ანალიზი

2016 წელი ასოციაციისთვის საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალმხრივად დატვირთული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოციაციის საქმიანობის სფეროთა არეალის გაფართოება. ასოციაცია წინა წელთან შედარებით უფრო აქტიური იყო რეგიონების ლიცენზირების კუთხითაც. 2015 წელს დანერგილი რეგიონების ლიცენზირების სისტემა, 2016 წელს უფრო ეფექტურად განხორციელდა. საგრძნობლად გაიზარდა აქტიურობა მომიჯნავე უფლებების კოლექტიური მართვის ნაწილშიც.

ასოციაციამ დიდი სამუშაო გასწია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხითაც, რაც მისი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია ასოციაციის უფრო ეფექტურ მუშაობასთან. 2015 წლის მსგავსად, 2016 წელსაც დახმარება გაენია არაერთ უფლებისმფლობელს მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არეალზეც.

ასოციაციის საქმიანობის დახვეწისა და ინფორმაციის სისტემატიზაციის კუთხით, 2016 წელს, გამოსარჩევია ასოციაციის საქმიანობის ელექტრონული ფორმით განხორციელების სპეციალური პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ასოციაციის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას და ინფორმაციის ეფექტურ ურთიერთგაცვლას.

2016 წელს ასოციაციაში ასევე დაინერგა სატელევიზიო ეთერებში მუსიკის იდენტიფიცირების სპეციალური პროგრამა Vericast-ი. აღნიშნული პროგრამა ესპანური კომპანიის, BMAT-ის მიერ არის შექმნილი და მას უკვე მსოფლიოს 50 ქვეყანა იყენებს. პროგრამა იძლევა საშუალებას მოხდეს ტელეეთერების მონიტორინგი და ეთერში გასული მუსიკალური ნაწარმოებების იდენტიფიცირება. ამჟამად, პროგრამა ახორციელებს 11 ქართული ტელეარხის მონიტორინგს.

2016 წლის განმავლობაში აქტიურად ხდებოდა საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური, სახვითი ხელოვნების, დრამატული და სხვა სახის ნაწარმოებების რეგისტრაცია. პარალელურად დაიხვეწა არსებული მონაცემთა ბაზა. ქართველი უფლებისმფლობელების მიერ დარეგისტრირებული ნაწარმოებები უკვე წარმატებით ინტეგრირდება ნაწარმოებების საერთაშორისო ბაზებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კიდევ უფრო გაიზარდა ასოციაციის მიმართ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელთა ნდობა, რაზეც განევრიანების პროცესის მზარდი დინამიკაც მეტყველებს.



2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასოციაცია ითვლიდა 1613 წევრს.

2016 წელი ასოციაციისთვის აქტიური იყო ლიცენზირების კუთხითაც. წლის განმავლობაში აქტიური სამუშაოები გატარდა რეგიონების ლიცენზირების მხრივ, რაც ხორციელდებოდა სხვადასხვა რეგიონში ასოციაციის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ინტენსიურად ეწეოდნენ მოსარგებლეთა ლიცენზირებას და მონიტორინგს. განსაკუთრებით გააქტიურდა მომიჯნავე უფლებების ლიცენზირების სფერო.

ახალი სფეროების კუთხით, აღსანიშნავია, რომ დაიწყო ლიცენზირება საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დროებით მფლობელობაში გადაცემის (Public Lending) სეგმენტში. ასევე, მიუხედავად მოსარგებლეთა ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა, შემუშავდა საბოლოო განაკვეთები საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირების (Private Copying) სფეროშიც, რომლის აქტიური ლიცენზირებაც იგეგმება 2017 წელს.


2016 წელი ასოციაციის ლიცენზირების კუთხით გამოსარჩევია იმითაც, რომ დაიწყო მოლაპარაკება და მიღწეულია შეთანხმება YouTube-თან საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ინტერნეტში გავრცელებისათვის ასოციაციის ლიცენზიის გაცემის თაობაზე, რომლის ხელმოწერაც იგეგმება 2017 წლის პირველ ნახევარში. აღნიშნული ფაქტი უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც ინტერნეტ სფეროში მოქმედი ყველაზე დიდი გლობალური მოსარგებლის ლიცენზირების, ასევე ზოგადად ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვის კუთხით.

462
თბილისში

2016 წლის
განმავლობაში
სულ გაიწა
769
ლიცენზია


307
რეგიონებში

გაცემული ლიცენზიების დინამიკა თვეების მიხედვით:



ჰონორარის შეგროვება-განაწილება

2016 წელს ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარი 30%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ჰონორარის ოდენობის ზრდა ძირითადად გამოიწვია მოსარგებლეთა რიცხვის საგრძნობმა მატებამ ყველა სეგმენტში. აქტიურობა შეინიშნებოდა როგორც უკვე დიდი ხნის ათვისებულ სეგმენტებში, ასევე ახლად ათვისებული სეგმენტების მოსარგებლეთა შორისაც.



ჰონორარის შეგროვების დინამიკა თვეების მიხედვით:

იანვარი	175 147.12	ივლისი	481 329.65
თებერვალი	247 910.87	აგვისტო	306 760.08
მარტი	386 839.65	სექტემბერი	339 408.34
აპრილი	327 967.80	ოქტომბერი	303 477.10
მაისი	266 904.32	ნოემბერი	330 097.87
ივნისი	251 825.16	დეკემბერი	664 248.32

საერთოველოს ფარგლებს გარეთ შეგროვებული ჰონორარი უცხოეთის კარტონიორი ორგანიზაციების მიხედვით:

ACUM (ისრაელი)	4 006.82	WAIT MEDIA (რუსეთი)	910.28
AKM (ავსტრია)	6 045.34	SGAE (ესპანეთი)	4 476.03
ARMAUTHOR (სომხეთი)	616.43	SODRAC (კანადა)	1 136.2
BUMA (ნიდერლანდები)	97.67	SADRAC (კანადა)	279.7
EAU (ესტონეთი)	1 376.57	SOFAM (ბელგია)	908.07
GEMA (გერმანია)	10 810.37	STIM (შვედეთი)	1 229.80
JASRAC (იაპონია)	2 762.87	SUISA (შვეიცარია)	3 113.09
KODA (დანია)	12 894.72	TEOSTO (ფინეთი)	3 436.80
LATGA (ლიტვა)	806.48	TONO (ნორვეგია)	622.67
PRS (დიდი ბრიტანეთი)	12 116.12	UACRR (უკრაინა)	3 877.27
RAO (რუსეთი)	58 090.47	ZAIKS (კოლონეთი)	231.33

ჰონორარის შეგროვება-განაწილება

ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ოსარგებლეებისგან შეგროვებული ჰონორარის ზუსტი და სამართლიანი განაწილება წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2016 წელს, მათ შორის ესპანური კომპანია BMAT-ის სპეციალური პროგრამის, Vericast-ის დანერგვით და ამუშავებით, რაც ხელს უწყობს ტელეეთერებში გასული, საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღებას.

2016 წელს ასოციაციამ დაიწყო მომიჯნავე უფლებებით სარგებლობისათვის შეგროვებული ჰონორარის განაწილება. აღნიშნული საქმიანობა 2017 წელს კიდევ უფრო აქტიურად განხორციელდება.

2016 წელს ასოციაციის მიერ გადახდილი ჰონორარის ოდენობა 30%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

სულ წლის განმავლობაში გადახდილი იქნა 2 106 459.57 ლარის ჰონორარი:

22 უცხოეთის კარტინორი ორგანიზაციისთვის
55% | 1 158 763.41 ლარი

602 ადგილობრივი უფლებისმფლობელისთვის
45% | 947 696.16 ლარი

ამავდროულად სახელმწიფო ბიუჯეტში ასოციაციის მიერ გადახდილი იქნა 548 800 ლარი დღგ-ს, 447 300 ლარი საშემოსავლო და 1 280 ლარი ქონების გადასახადის სახით.

საერთოველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი ჰონორარი უცხოეთის კარტინორი ორგანიზაციების მიხედვით:

BMI (აშშ)	184 184.60	SGAE (ესპანეთი)	13 180.03
ASCAP (აშშ)	199 945.38	SIAE (იტალია)	33 087.01
SESAC (აშშ)	3 543.46	ABRAMUS (ბრაზილია)	163 871.43
PRS (დიდი ბრიტანეთი)	208 927.71	UBS (ბრაზილია)	13 686.71
SACD (საფრანგეთი)	3 632.90	ARMAUTHOR (სომხეთი)	1 830.87
AKM (ავსტრია)	2 583.09	JASRAC (იაპონია)	2 106.61
RAO (რუსეთი)	147 532.48	MESAM (თურქეთი)	81 265.17
BUMA (ნიდერლანდები)	2 400.70	SOCAN (კანადა)	4 730.59
GEMA (გერმანია)	27 426.59	UACRR (უკრაინა)	2 635.15
SACEM (საფრანგეთი)	40 657.61	KODA (დანია)	6 367.64
STIM (შვედეთი)	11 880.61	TONO (ნორვეგია)	3 287.07

საჯაროობა და გამჭვირვალობა ასოციაციის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. ასოციაციის საქმიანობა ყოველთვის ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. შეუფერხებლად ხორციელდება საჯარო ინფორმაციის გაცემა, რაც ხელს უწყობს ზემოთხსენებული პრინციპის აღსრულებას და უზრუნველყოფს ასოციაციის მიმართ მაღალ ნდობას მოსარგებლეთა და უფლებისმფლობელთა მხრიდან.

გარდა ინფორმაციის გაცემისა, საჯარო ასევე ასოციაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია. ასოციაციის ვებ გვერდზე განთავსებულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები როგორცაა: ასოციაციის წესდება, განაკვეთები, დებულებები და ა.შ.

ასოციაცია ყოველწლიურად შეიმუშავებს და ბეჭდური სახით გამოსცემს საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ანგარიში ასევე წარედგინება ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს, ეგზავნება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს და თავსდება ასოციაციის ვებ გვერდზეც.

ასოციაციის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში პერმანენტულად თავსდება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით ასოციაცია კვლავ აქტიურ სამუშაოებს ატარებს. აღნიშნული საქმიანობის ეფექტურად განხორციელება იწვევს როგორც უფლებისმფლობელთა უკეთ გათვითცნობიერებას, ასევე მოსარგებლეთა მეტ ინფორმირებას, რისი შედეგიც, საბოლოო ჯამში ასოციაციის საქმიანობის და საავტორო უფლებების სფეროს განვითარებაა.

ასოციაცია, 2016 წელს აქტიურად ეწეოდა უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს. კვლავ გამოიცემა ჟურნალი „COPYRIGHT“-ი. 2016 წელს, გარდა ჟურნალისა, ასოციაციამ დაიწყო ახალი ბეჭდური გამოცემის - სახელწოდებით „მეგზური“ - გამოშვება. გამოცემით საზოგადოებას დეტალურად მიეწოდება ინფორმაცია როგორც საავტორო უფლებების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის, ასევე ასოციაციის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. „მეგზური“ სამ თვეში ერთხელ გამოდის და იგი უსასყიდლოდ ვრცელდება.

2016 წლის განმავლობაში ასოციაციის მიერ არაერთი სემინარი, ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მათ შორის, 2016 წლის 24 აპრილს, წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასოციაციის ინიციატივით, ყვარელის იუსტიციის სასწავლო ცენტრში კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. 27 აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის ფარგლებში, ასოციაცია შეხვდა სტუდენტებს და გამართა საჯარო ლექცია თემაზე „საავტორო და მომიჯნავე უფლებები საქართველოში“. 25-29 ივლისს, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის საზაფხულო სკოლის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია საავტორო უფლებების დაცვისა და კოლექტიური მართვის სფეროში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვა ქვეყნების სტუდენტები.

დარღვევათა პროფილაქტიკა

ასოციაციის საქმიანობის მთავარი მიმართულება საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურად მართვაა, რაც გულისხმობს უფლებისმფლობელთა სახელით მოსარგებლეთა ლიცენზირებას, ჰონორარის შეგროვებას და უფლებისმფლობელებისთვის განაწილება-გადახდას. შესაბამისად, დარღვევების კუთხით ასოციაციის საქმიანობაც, კოლექტიური მართვის სფეროში ლიცენზიის გაცემისა და მისი პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად ხორციელდება. თუმცა, ასოციაცია მაქსიმალურად ეხმარება უფლებისმფლობელებს ინდივიდუალურ დონეზეც, როგორც უსასყიდლო სამართლებრივი კონსულტაციების და დამრღვევებთან კომუნიკაციის მიმართულებით, ასევე სასამართლო დავებში ჩართვის კუთხითაც, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, ასოციაციის პარტნიორი, კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მეშვეობით.

გარდა აღნიშნულისა, ასოციაცია ასევე თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგნოებთან საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში დარღვევათა აღმოფხვრისა და შემდგომი პროფილაქტიკის მიმართულებით.



საერთაშორისო თანამშრომლობა

ასოციაციისთვის, 2016 წელი, აქტიური იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. ასოციაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა და შეხვედრაში, რომელიც გაიმართა როგორც საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციების, ასევე ასოციაციის პარტნიორი, უცხოეთის კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მიერ.

2016 წელს ასოციაციამ გააფორმა ხუთი ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება ბრაზილიის (ABRAMUS), კოსტა რიკის (ACAM), ესპანეთის (AIE), კანადის (ARTISTI) და მონტენეგროს (PAM PG) კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან. ასევე დაწყებულია მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთანაც.

დონორების კუთხით მნიშვნელოვანია ასოციაციის თანამშრომლობა აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP). აღნიშნული პროგრამის დაფინანსებით, 2016 წელს, განხორციელდა სემინარები მოსამართლეების, იურისტებისა და ჟურნალისტებისათვის, რომელსაც უკვე ყოველწლიური ხასიათი მიეცა.

დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აღსრულების სამუშაოების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც, ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასოციაციაც. შემუშავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტრატეგიული და ოპერატიული შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების პრევენციის/გამოძიების განხორციელების სამოქმედო გეგმა.



2016 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით
ასოციაციას სულ გაფორმებული აქვს

165

ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება,
რომელიც ფარავს მსოფლიოს 150-ზე მეტ ვეფყანასა
და ტერიტორიას და 3 მილიონზე მეტი
ავტორისა და შემსრულებლის რეპერტუარს




შეჯამება

შეჯამების კუთხით, ასოციაციის მუშაობა, 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით უფრო ეფექტური და აქტიური იყო. განხორციელდა ახალი სფეროების ათვისება. საგრძნობლად გაძლიერდა როგორც რეგიონული ლიცენზირება, ასევე მომიჯნავე უფლებების კოლექტიურად მართვა. შესაბამისად გაიზარდა შეგროვებული და განაწილებული ჰონორარის ოდენობაც. როგორც წინა წლებში, 2016 წელსაც, ასოციაცია აქტიური იყო საერთაშორისო ასპარეზზე და იგი კვლავ ინარჩუნებს წამყვან პოზიციას რეგიონში, საქმიანობის განვითარების კუთხით.


ასოციაციის ნაყოფიერი მუშაობა 2016 წელს, საფუძველს უყრის მის კიდევ უფრო ეფექტურ საქმიანობას მომავალში, რაც სფეროში ჯერ კიდევ არსებული არაერთი გამოწვევის გამკლავების და დასახული მიზნების მიღწევის საწინდარია.

შედარებითი ანალიზი

წევრთა რაოდენობა




შეგროვებული ჰონორარის ოდენობა




შედარებითი ანალიზი

გადახდილი ჰონორარის ოდენობა



გადახდილი ჰონორარი წევრთა რაოდენობის მიხედვით





თბილისი 2017